



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 143/ს
31/03/2023

143-21-4-202303311220



ქ. თერჯოლაში შპს „დაგის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „დაგის“ (ს/კ - 406038540) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 4 ნოემბერს (წერილი N6196) წარმოდგენილი იქნა ქ. თერჯოლაში შპს „დაგის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N472/ს 21/11/2022) შექმნა, ასევე შესაბამისი უწყებებისა და დარგობრივი დეპარტამენტების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. სააგენტომ ასევე უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ქ. თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრის“ მიერ.

ფეროშენადნობის ქარხნის მშენებლობა დაგეგმილია ქ. თერჯოლაში, შპს „დაგის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.671), მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 10 553 კვ.მ-ია. სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საქმიანობა დაგეგმილი იყო საკადასტრო კოდით 33.09.43.468 (3819 კვ.მ ფართობი) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გზშ-ის ანგარიშის თანახმად საქმიანობის განხორციელების ტერიტორია უცვლელია, თუმცა, შპს „დაგიმ“ მის საკუთრებაში არსებული 3 მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდებით: 33.09.43.622; 33.09.43.550 და 33.09.43.468 გააერთიანა და აღნიშნული მიწის ნაკვეთები ამჟამად წარმოდგენილია საკადასტრო კოდით - 33.09.43.671. შესაბამისად, როგორც გზშ-ის ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობისთვის გათვალისწინებულია აღნიშნული 10 553 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ნაწილი (3819 კვ.მ). საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის ფარგლებში, საწარმოო შენობიდან დაახლოებით 40 მეტრის დაშორებით დაგეგმილია შპს „დაგის“ ცემენტისა და ფილერის საწარმოს მოწყობა, რომელზეც გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთის მხრიდან 66 მეტრში გადის რკინიგზის ჩიხი.

საწარმოდან 76 მეტრში მდებარეობს შპს „მარინის“ ასფალტის საწარმო. საპროექტო ტერიტორიიდან 120 მეტრში განთავსებულია შპს „ბორანის“ ასფალტის საწარმო და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო. საწარმოდან 280 მეტრში დაგეგმილია შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობების საწარმო. საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან 360 მეტრში მდებარეობს შპს „იმერეთის ქარის ელექტროსადგურის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია მხოლოდ სასაწყობე ნაგებობა. ამასთან, საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლაბური საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 310 მეტრით, მდ. ყვრილა - 500 მეტრით, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფ. მეორე სვირი) 1400 მეტრის მანძილზე მდებარეობს, მონაცემების გადამოწმებით საწარმოს ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 900 მეტრში, ფიქსირდება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.09.43.292), სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი).

გზშ-ის ანგარიშში განხილულია პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები. მათ შორის, მოცემულია უმოქმედობის, მტვერგამწმენდი სისტემის, სადნობი ღუმელების და საწარმოს განთავსების ტერიტორიის ალტერნატივების ანალიზი. ანგარიშის შესაბამისად, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროებისა და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. ანგარიშის მიხედვით, ფეროშენადნობების წარმოების ქარხნისათვის ტერიტორიის შერჩევას განიხილებოდა სამი ალტერნატიული ვარიანტი, პირველ ალტერნატიული ვარიანტად განხილულია ქ. თერჯოლაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.09.43.427). მეორე ალტერნატივად განხილულია კერძო საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.10.38.238), რომელიც მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღვანკითის ტერიტორიაზე და მესამე შერჩეული ალტერნატიული ვარიანტია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.09.43.671), რომელიც მდებარეობს ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შერჩეულ ტერიტორიას უპირატესობა მიენიჭა, რადგან ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და ტერიტორიაზე ნიადაგის ფენა ძლიერ სახეცვლილია. ასევე ტერიტორიიდან საცხოვრებელი სახლები დიდი მანძილით არის დაშორებული და ტერიტორიაზე არსებობს მისასვლელი გზა, რომელიც არ გადის დასახლებულ პუნქტში. ამასთან მიწის ნაკვეთი მდებარეობს საწარმოო ზონაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში იგეგმება ერთი 5.5 მგვტ სიმძლავრის ღუმელის მონტაჟი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 340 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ობიექტის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 25 ტონას დღე-ღამეში (24 სთ-ში) და 8500 ტონას წელიწადში.

საწვავი ღუმელის შემადგენლობაში შედის: სპილენძის მილების წყლის გამაციებელი მოკლე ხაზი; სპილენძის კონტაქტები; ელექტროდის დაცურების მექანიზმი; ჰიდრავლიკის მექანიზმი თავისი მართვით; ელექტროგაყვანილობები; კაზმის სახარჯი ღუმელი და კონვეიერი; წყლის გამაგრილებელი სისტემა; ღუმელის ტრანსფორმატორი და რეაქტიული დენების კომპენსაციის დანადგარები.

ანგარიშის თანახმად, საწარმო წელიწადში 8500 ტონა ფეროსილიკომანგანუმის საწარმოებლად მოიხმარს 21250 ტ მანგანუმის მადნის კონცენტრატს, 4250 ტ კოქსს, 850 ტ კირქვას და 4250 ტ კვარციტს. საწარმოს ძირითადი ნედლეულით, მანგანუმის მადნის კონცენტრატით მომარაგება დაგეგმილია ავტოტრანსპორტით, როგორც საქართველოდან (ძირითადად ჭიათურიდან), ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. საწარმოში ასევე შესაძლებელი იქნება, ნედლეულად მანგანუმის შემცველი წიდის გამოყენებაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის დღიურად დაგეგმილია 5 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება (4 ნედლეულის, ხოლო 1 პროდუქციის გადასაზიდად).

საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: საწარმოო შენობა (შენობის პარამეტრები იქნება: სიგრძე - 34.8, სიგანე, 12.7, სიმაღლე - 16.5), რომელიც მოიცავს: ელ. ღუმელების განთავსების უბანს, მზა პროდუქციის დასაწყობების უბანს, მადანთერმულ ელექტრო ღუმელს, სატრანსფორმატოროს, გრანულაციის ორმოს, ნედლეულის მიმღებ ბუნკერებს, ელ. ხიდურა ამწეს და აირგამწმენდ ნაგებობას; ადმინისტრაციული საოფისე შენობა; ადმინისტრაციული საოფისე შენობისთვის განკუთვნილი ფეკალური წყლების ორმო მოცულობით - 47.8 მ³ (პარამეტრები: 5.8X3.3X2.5(h)); სადარაჯო შენობა; ცალკე მდგომი საპირფარეშო შესაბამისი ფეკალური წყლების საასენიზაციო ორმოთი, მოცულობით 26.8 მ³ (პარამეტრებით: 3.2X3X2.80(h)); ნედლეულის ღია საწყობი 4 სექციით, თითოეული სექციის პარამეტრები იქნება: 8.0 X 7.0; არტეზიული ჭა; 15 ტონა მოცულობის მქონე წყლის საწნეო ავზი, რომლის შევსებაც მოხდება არტეზიული ჭაბურღილიდან; 8 ავტომანქანისთვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილი. საწარმოო ტერიტორია შემოიღობება, მოეწყობა ტერიტორიაზე შესასვლელი ძირითადი ჭიშკარი, ხოლო საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზედაც არ არის ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა დაგეგმილი, გამწვანდება გაზონით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ფეროშენადნობის (ფეროსილიკომანგანუმი) წარმოება, მანგანუმის მადნის კონცენტრატის და საკაზმე კომპონენტების საწარმოში შეტანით იწყება. შემოსული ნედლეული დაიყრება ღია საწყობში, საიდანაც დამტვირთველის საშუალებით დაიყრება საკაზმე ბუნკერებში. შერეული კაზმი კონვეირის საშუალებით ჩაიყრება ბუნკერში, რომელიც ამწეს მეშვეობით ღუმელის თავზე განლაგებულ ბუნკერებში დაიცვლება. ბუნკერიდან კაზმი მილის საშუალებით მოხვდება საპროექტო ღუმელში და დაიწყება დნობის პროცესი (1360 გრადუსზე). ლითონი ელექტრო ამწეების მეშვეობით შესაბამის ციცხვებში ჩამოიხმება, ციცხვებში ლითონის გაცივების შემდეგ მოხდება ლითონის აწონვა და მზა პროდუქციის საწყობში გადაიტვირთება. ციცხვებიდან მზა პროდუქციის ამოღება ხდება მექანიკურად ციცხვების დაზიანების და მტვერვის გარეშე. თანმდევი წიდა არხებით (ღარებით) გაედინება შესაბამის ორმოში, საიდანაც ექსკავატორის და თვითმცლელი მანქანების მეშვეობით გადაიტვირთება წიდასაყარზე (საწარმოს ტერიტორიაზე). მიღებულ წიდას პერიოდულად ჩაუტარდება ლაბორატორიული კონტროლი და მასში მაღალი პროცენტული მანგანუმის შემცველობის შემთხვევაში მოხდება მისი ნედლეულად გამოყენება, ხელახალი გამოდნობა სხვა მადანთან შერევის გზით, ხოლო უკვე დაბალი მანგანუმის შემცველი წიდა დასაწყობდება წიდის დროებით ზემოთ აღნიშნულ საწყობში მათი შემდგომი მართვისთვის.

ელექტრორკალური სადნობი ღუმელი წარმოადგენს 20 მმ ფურცლოვანი რკინისგან შეკრულ მრგვალ ქვაბისებურ კონსტრუქციას, რომელიც ამოგებულია ცეცხლგამძლე

აგურით და სპეციალური პასტით. ღუმელს მოემსახურება 5.5 მეგავატი ტრანსფორმატორი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალი და დაბალი ძაბვის, შესაბამისი ამპერაჟის დენით. საწარმოში ღუმელის და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

ანგარიშის მიხედვით, წყალი საწარმოში გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. საწარმოს ტერიტორიაზე სასმელი წყლის შემოტანა განხორციელდება ბუტილირებული სახით და წყლის დისპენსერებით. წლის განმავლობაში მოხმარებული სასმელ-სამეურნეო წყლის რაოდენობა იქნება 1071 მ³. სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია არტეზიული ჭის მოწყობა, რომელზეც კომპანია მოიპოვებს შესაბამის ლიცენზიას სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან. საწარმოში ღუმელების გაციებისათვის ბრუნვით სისტემაში გათვალისწინებულია 120 მ³ წყალი, ხოლო დანაკარგების შესავსებად, დღე-ღამეში გათვალისწინებულია 28,8 მ³ წყალი, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 9912 მ³-ს.

ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაეშვება საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწყობ საასენიზაციო ორმოებში. სანიაღვრე წყლები, საწარმოს ტერიტორიაზევე მოწყობილი სანიაღვრე არხის მეშვეობით ჩაშვებული იქნება საასენიზაციო ორმოში ფეკალურ წყლებთან ერთად, რომელიც ასევე გატანილი იქნება ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ, მათთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების გატანა მოხდება შევსებისთანავე ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ, მათთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.

საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენები დასაწყობდება შესაბამის სასაწყობო სათავსოში და გადაეცემა აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. შპს „დაგი“ ვალდებულია საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად მართოს კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები. ამასთანავე, სამინისტროში წარადგინოს და შეათანხმოს კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის წიდისა და აირმტვერდამჭერი მოწყობილობის საშუალებით დაჭერილი მტვერის) მართვის გეგმა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია შპს „დაგს“ განესაზღვრა პირობის სახით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, დღე-ღამეში მოსალოდნელია 54 ტონა (18360 ტ/წელ) წიდის წარმოქმნა. როგორც ანგარიშშია აღნიშნული წიდა „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული დადგენილების დანართი 1-ის

შესაბამისად არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს (10 02 02). წიდა სათანადოდ აღჭურვილი არხებით (ღარებით) გაედინება ამისათვის მოწყობილ მობეტონებულ ორმოში, სადაც ბუნებრივ პირობებში გაცივდება. ორმოდან მოხდება მისი გადატანა ექსკავატორის და თვითმცლელი მანქანების მეშვეობით ნედლეულის დასაწყობებისთვის განკუთვნილი უბნის ერთ-ერთ უჯრაში. მიღებულ წიდას პერიოდულად ჩაუტარდება ლაბორატორიული კონტროლი და მასში მალალი პროცენტული მანგანუმის შემცველობის შემთხვევაში მოხდება მისი ნედლეულად გამოყენება, ხელახალი გამოდნობა სხვა მადანთან შერევის გზით, ხოლო მანგანუმის დაბალი შემცველობის წიდა დასაწყობდება წიდას დროებით განთავსების უბანზე, ერთ-ერთ უჯრაში. აღნიშნული წიდა სამშენებლო მასალების წარმოებაში გამოყენების მიზნით შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე გადაეცემა სამშენებლო მასალების მწარმოებელ საწარმოებს.

ღუმელში დნობისას წარმოქმნილი მტვრის დასაჭერად გათვალისწინებულია ასპირაციული ღონისძიებები. ფეროშენადნობის სადნობი ღუმელიდან გამოყოფილი აირნარევი გაიწოვება ღუმელზე დამონტაჟებული გამწოვი სისტემებიდან, რომლის წარმადობა ტოლია 50000 მ³/სთ. ფილტრების გავლის შემდგომ 14 მეტრი სიმაღლის და 0,8 მ დიამეტრის მილით გაიფრქვევა ატმოსფეროში. სახელოებიანი ფილტრის ეფექტურობა იქნება 99%-ის და მილიდან გამომავალ ჰაერში მტვრის კონცენტრაცია არ აღემატება 20 მგ/მ³-ში. მტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერი გადაეცემათ აგლომერაციის საწარმოებს წარმოებაში გამოყენების მიზნით.

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი (TSP), ალუმინის ოქსიდი, კალციუმის ოქსიდი, მაგნიუმის ოქსიდი, მანგანუმის დიოქსიდი, სილიციუმის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოქსიდი. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, რომელშიც გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ არსებული შპს „ბორანის“ და შპს „მარინის“ ასფალტის ქარხნების, შპს „დაგის“ ცემენტისა და ფილერის საწარმოს და შპს „მეტიმპექსის“ ფეროშენადნობთა ქარხნიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე (არაორგანული მტვრის კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი 0,68 მგ/მ³; მანგანუმის დიოქსიდის კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი 0,99 მგ/მ³). ამდენად საწარმოს ფუნქციონირებისას მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დამონტაჟება. ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, უწყვეტ ინსტრუმენტულ მონიტორინგს ექვემდებარება შემდეგი ნივთიერებები:

მტვერი (შეწონილი ნაწილაკები, TSP); აზოტის დიოქსიდი (NO₂); გოგირდის დიოქსიდი (SO₂); ნახშირჟანგი (CO) და მანგანუმის დიოქსიდი; გზის ანგარიშის თანახმად საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ემისიების გავრცელების პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის საპროექტო ტერიტორიის შემოღობვა და სრულ პერიმეტრზე მაღალმოზარდი მცენარეების დარგვა.

გზის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმური პირობები. ანგარიშის თანახმად საპროექტო ტერიტორია ხე-მცენარეებისგან თავისუფალია. მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ფაუნის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. საპროექტო ტერიტორიაზე სავლელ კვლევას ჩატარდა აგვისტოს და სექტემბრის დასაწყისში, რომლის დროსაც ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა რაიმე კვალი არ დაფიქსირებულა. ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობის სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზის ანგარიშის თანახმად, შპს „დაგის“ დაკვეთით, შპს „გეოსერვისის“ მიერ, 2022 წლის სექტემბერში, საწარმო და საოფისე შენობების მშენებლობისთვის, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის დროს, დადგინდა, რომ საკვლევე ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესები არ გამოვლენილა და მათი განვითარება მოსალოდნელი არ არის. დანართის სახით წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეგმა, გაბურღილი ჭაბურღილების დატანით, გეოლოგიური ჭრილები, გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები, წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები, შესაბამისი დასკვნებით და ფოტომასალით. შპს „დაგმა“ დაგეგმილი საქმიანობა უნდა განახორციელოს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლები არ ფიქსირდება. დაშორების დიდი მანძილიდან (აჯამეთის აღკვეთილი დაშორებულია 2.3 კმ) გამომდინარე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაიმე სახის დაცვის არეალში, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით ზემოქმედების არეალში მოქცეული ტერიტორიები, წიაღზე დამაგრებას არ ექვემდებარება.

გზის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციისას ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული დანადგარებიდან მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება, მათ შორის: გამწოვი სისტემა (90 დბა), ღუმელები (85 დბა) და სხვა დანადგარები (80 დბა), რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 90 დბა-ს, ხოლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით არ აღემატება 100 დბა-ს. ხმაური ასევე

შესაძლებელია გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობამ, ავტოთვიტმცლებიდან ნედლეულის ჩამოყრა, ნედლეულის დასაწყობების უბანზე და ნედლეულის ჩაყრა ბუნკერებში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შესრულებული გაანგარიშების მიხედვით დადგინდა, რომ საწარმოო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს საწარმოდან 500 მეტრის მანძილზე, ხოლო ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გატანის მიზნით განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციები დღის განმავლობაში არ აღემატება 5-ს. საავტომობილო გზა არ გადის დასახლებულ პუნქტში ამასთან საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული ხე-მცენარეები წარმოადგენენ ბუნებრივ ბარიერს ხმაურის გავრცელების კუთხით. აღსანიშნავია, რომ გზმ-ის ანგარიშში, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და ხმაურის დონეების მონიტორინგი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე, რომლის გამოყენებაც ხდება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, მნიშვნელოვანი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ქარიან ამინდში ნედლეულის მიღების და პროდუქციის გაცემის, ბუნკერებში ჩაყრის აკრძალვა; ნედლეულის/პროდუქციის ძარაგადახურული ავტომანქანებით ტრანსპორტირება; ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და ნებართვის მქონე კომპანიების მიერ გატანა; საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრზე, ბუნებრივი ეკრანის სახით მწვანე ზოლის მოწყობა; უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დაყენება გაფრქვევის წყაროსთან; ზღვ ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს დროებითი გაჩერება, მიზეზის მოკვლევა და გამოსწორება და გზმ-ის ანგარიშით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია ასევე განთავსდა თერჯოლის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფებზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები გამოქვეყნდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა შესაბამის გაზეთში. ზემოაღნიშნული პროექტის გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვები გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. მეორე სვირის იუსტიციის სახლის შენობაში 2022 წლის 26 დეკემბერს, 11:00 საათზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში 2022 წლის 26 დეკემბერს, 15:00 საათზე. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „დაგის“, შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრის“, თერჯოლის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები. ზესტაფონის

მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირში ჩატარებულ განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარებულ განხილვაზე პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ადგილობრივმა მოსახლემ დასვა კითხვა ხეხილზე და მევენახეობაზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით. მან ითხოვა განმარტება, მოსავალზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მოსავლის რა კომპონენტზე შეეძლო ზემოქმედების მოხდენა საწარმოს. კონსულტანტის განმარტებით გზშ-ის ანგარიშში განხილულია როგორც მოსახლეობაზე პირდაპირი ზემოქმედება ასევე ირიბი ზემოქმედება და განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები. საპროექტო ტერიტორია შემოიღობება და დაირგვება მაღალმოზარდი მცენარეები. საწარმო აღჭურვილი იქნება 99%-იანი ეფექტურობის სახელოებიანი ფილტრით. ამასთან გაფრქვევის წყაროსთან გათვალისწინებულია უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემა. ამასთან კომპანია ვალდებულია ჩაატაროს ინსტრუმენტული გაზომვა სხვადასხვა ლოკაციაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები არ გადააჭარბებს ნორმებს, თუ დაფიქსირდება ასეთი ფაქტი ავტომატურად მოხდება საწარმოს გათიშვა. ხოლო დარღვევის ფაქტი ეცნობება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. როგორც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირში ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ განხილვაზე მოსახლეობამ გამოთქვა წუხილი არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებზე. მათ აღნიშნეს რომ საწარმოები ხშირად არღვევენ გარემოსდაცვით ნორმებს. სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევის კონკრეტული ფაქტი შეუძლიათ აცნობონ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ისინი გადაამოწმებენ აღნიშნულ ფაქტებს და მოახდენენ შესაბამის რეაგირებას. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სააგენტომ 2023 წლის 24 იანვრის N 21/305 წერილით მიმართა საქმიანობის განმახორციელებელს. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. აღნიშნული წერილების პასუხად, შპს „დაგის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N957 (09.02.2023)), კერძოდ დაზუსტდა: ციცხვში არსებული ლითონის ჩამოსხმა/გაციების შესახებ ინფორმაცია; წარმოდგენილ იქნება კორექტირებული გენ-გეგმა ხმაურის წყაროების დატანით და წარმოდგენილ იქნა კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, რომელიც განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N79/ს 15.02.2023), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია და თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, ასევე შესაბამისმა უწყებებმა და დარგობრივ დეპარტამენტებმა (მათ შორის: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი), რომელთა დასკვნებისა და მოსაზრებების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. თერჯოლაში შპს „დაგის“ ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „დაგამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „დაგამ“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „დაგამ“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემა), გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის და ხმაურის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს 500 მ-იანი რადიუსის საზღვრის პერიმეტრზე, მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „დაგამ“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ინსტრუმენტული მონიტორინგი განახორციელოს კვარტალში ერთხელ მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP), სადაც განსაზღვრული იქნება მანგანუმის დიოქსიდის შემცველობა, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში განსახილველად წელიწადში ერთხელ;
7. შპს „დაგამ“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის

- შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. შპს „დაგმა“ აწარმოოს ტექნიკური დანადგარების გამართულობაზე მუდმივი კონტროლი;
 9. შპს „დაგმა“ უზრუნველყოს საწარმოს მისასვლელი გზებისა და საწარმოს ტერიტორიის მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად;
 10. შპს „დაგმა“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის წიდისა და აირმტვერდამჭერი მოწყობილობის საშუალებით დაჭერილი მტვერის) მართვის გეგმის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. საქმიანობა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
 11. შპს „დაგმა“ მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
 12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
 13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „დაგს“;
 14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დაგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
 15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
 16. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო